

სავაჭრო ურთიერთობების ისტორიიდან კავკასიაში

ვაშლის ჯიში „ხაზარულა“

ნინო თაბაგარი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბუხრაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო თაბაგარი:

25.12.2013

აბსტრაქტი

ნაშრომში, რომელიც ეხება სავაჭრო ურთიერთობების ისტორიას კავკასიაში, ჩემი მიზანი იყო გამეანალიზებინა კავკასიის ისტორიული წარსული დიდ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე და მეჩვენებინა საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ამ ურთიერთობებში. სათაურში მოყვანილ ვაშლის ჯიმ „ხაზარულა“-ს ტოპონიმიკური დატვირთვა აქვს და სახელ „ხაზარულას“ წარმოშობის კვლევას მივყავართ მთისა და ბარის სავაჭრო-სამეურნეო ურთიერთობების ანალიზამდე.

ნაშრომში, სახელი „ხაზარულა“ დაკავშირებულია ხაზართა სამეფოსთან და ამით ნაჩვენებია ქართული ბარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მნიშვნელობა მთიანი კავკასიისთვის. განხილულია ხაზარეთის როგორც უშუალოდ აბრეშუმის დიდ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე არსებული ერთ-ერთი უძლიერესი იმპერიის ფენომენი, ბიზანტიის ალიანსი ხაზარებთან და მათი საერთო მიზნები ამიერკავკასიაზე. ნაჩვენებია კავკასიაში არსებული ორი მთავარი გადმოსასვლელის, დარიალისა და დერბენდის მნიშვნელობა.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, საკვლევი თემიდან გამომდინარე, საკითხის საფუძვლიანად შესწავლისთვის გამოვიყენე სხვადასხვა სამეცნიერო ისტორიული წიგნები, სტატიები, კრიტიკული შრომები, ინტერვიუ ენათმეცნიერთან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიის ლაბორატორიამ ჩაატარა კვლევა გურიაში.

ნაშრომის ბოლოს ყურადღება ეთმობა ხაზართა დაწინაურებას ბიზანტიასთან ურთიერთობის შედეგად და ხაზართა ხაკანის მიერ იუდაიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ფაქტს. ჩატარებული კვლევა გვამღევეს საბაბს ვივარაუდოთ, რომ ხაზარების, რომლებიც ეთნიკურად ებრაელები არ იყვნენ, გაიუდეველება მოხდა ბიზანტიის საგარეო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ხელში ჩაეგდო წამყვანი ძალაუფლება აბრეშუმის დიდ სავაჭრო - სატრანზიტო გზაზე.

საბოლოო ჯამში ნაშრომმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართველო ოდითგანვე იყო დიდი იმპერიების დაინტერესების ობიექტი სხვადასხვა ეპოქაში, მისი ხელსაყრელი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კავკასია____, ვაჭრობა____, ხაზარეთი____.

Abstract

With my work theme about trading relations in Caucasus I tried to analyzeCaucasus history on its' transit- trade way and show the importance of Georgia in these relations. The name of apple breed “Khazarula”mentioned in the title is toponymic. So, researching the roots of this name leads us to considering economic and trading relations between mountains and valleys.

The name “Khazarula” here is connected to the kingdom of Khazars that shows the great meaning of Georgian agricultural products to mountainous Caucasus. It is considered here the phenomenon of Khazaria as the greatest empire on the silk road; the alliance of Byzantium with Khazars and their common goals in Caucasus. It is showed here the meaning of the two main passes from Caucasus – Darial and Derbend.

To study the subject thoroughly I tried several researching methods: I used different scientific and historical books, articles, criticalworks. I managed an interview with a linguist. Above, Laboratory of Visual Anthropology of Ilia State University held a research in Guria.

At the end of my work, I talk aboutthe development of Khazaria as a result of relations to Byzantium;I discuss the fact ofrecognizing Judaism as the state religion of Khazaria by Khagan. The research makes us think that it happened depending on the foreign economic interests of Byzantium as it wanted to get all power on the transit-trade road.

In total, the work underlines again thatbecause of its profitable natural and geographic conditions Georgia has always been the object of great empires interests during differentages.

Key Words: Caucasus_____, trading_____, Khazaria_____.